საჯარო სამსახურის „რეფორმის“ დამაანგრეველი ეფექტი

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საჯარო სამსახურის „რეფორმის“ დამანგრეველი ეფექტი

დოკუმენტი მომზადებულია 2025 წლის 10 მაისის მდგომარეობით

თბილისი
2025

CIVIL
RIGHTS
DEFENDERS

პუბლიკაცია მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) მიერ, Civil Right Defenders-ის მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია საია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის პოზიციას.

გამოცემის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
შორენა ლოლაძე

ავტორი: გიორგი აბულაძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 4

მეთოდოლოგია 6

საკანონმდებლო ცვლილებები „ურჩი” მოხელეების დასასჯელად 7

ცვლილება „საჯარო სამსახურის შესახებ” კანონში 7

„საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის ცვლილებების მეორე ტალღა 10

ცვლილება დიპლომატიური სამსახურის გავლის წესში 12

რეპრესიები საჯარო სამსახურში 15

საჯარო უწყებებიდან მოთხოვნილი ინფორმაცია 17

საიას წარმოებაში არსებული საქმეები 19

დასკვნა 27

შესავალი

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ, „ქართული ოცნების" 2024 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებას[1] 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხის შეჩერებისა და ევროკავშირის მხრიდან ყოველგვარი საბიუჯეტო გრანტის მიღებაზე უარის შესახებ საზოგადოების ფართო მასების მხრიდან შესაბამისი გამოხმაურება მოჰყვა, მათ შორის, საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების მიერ განცხადებების გავრცელების გზით.

2024 წლის 29 ნოემბერს „ქართული ოცნების" გადაწყვეტილებას გაემიჯნნენ, მათ შორის, თავდაცვის სამინისტროს,[2] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს,[3] განათლების სამინისტროს,[4] ეროვნული ბანკისა[5] და თბილისის მერიის[6] თანამშრომლები. მოგვიანებით, ამ გადაწყვეტილებას გაერთიანებული განცხადებით გამოეხმაურნენ საჯარო სექტორში დასაქმებული სხვა პირები.[7]

საჯარო მოხელეების მიერ გავრცელებულ განცხადებებს მალევე გამოეხმაურნენ „ქართული ოცნების" მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები. 2024 წლის 1-ელ დეკემბერს განცხადება გაავრცელა „ქართული ოცნების" გენერალურმა მდივანმა, თბილისის მერმა კახა კალაძემ და თქვა, რომ წინა კვირას მერიაში რეორგანიზაცია გამოაცხადა, ეს განცხადება კი „კარგი თვითლუსტრაცია" იყო ამ პროცესის დაწყებამდე.[8]

---

[1] მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის 2024 წლის 28 ნოემბრის განცხადება.
ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Espxzf> [14.04.2025].

[2] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოქმედი თანამშრომლების ერთობლივი განცხადება. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/4jHP9XN> [14.04.2025].

[3] „დიპლომატების ერთობლივი წერილი: ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების შეწყვეტა ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს ეწინააღმდეგება", ონლაინ გამოცემა „Civil Georgia", 2024 წლის 29 ნოემბერი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/639011> [14.04.2025].

[4] „განათლების სამინისტროს თანამშრომლები „ქართული ოცნების" გადაწყვეტილებას გაემიჯნნენ", ონლაინ გამოცემა „Civil Georgia", 2024 წლის 29 ნოემბერი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/639435> [14.04.2025].

[5] საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლების საჯარო განცხადება. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3YLpVj9> [16.05.2025].

[6] თბილისის მერიის თანამშრომლების ნაწილის ერთობლივი განცხადება. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42xuJtq> [14.04.2025].

[7] საჯარო სექტორის თანამშრომლების განცხადება.
ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4ipVRAE> [26.04.2025].

[8] „წინა კვირას რეორგანიზაცია გამოვაცხადეთ... ლუსტრაციაა» - კალაძე მერიის 200-ზე მეტი თანამშრომლის პროტესტს პასუხობს", ონლაინ გამოცემა „რადიო თავი-

ამ ვითარებას 2024 წლის 2 დეკემბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძეც და აღნიშნა, რომ საჯარო სამსახური, რომლის თანამშრომლებიც გაემიჯნნენ „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებას, შეაჩეროს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი, „თვითწმენდის რეჟიმზეა, პრაქტიკულად, გადასული“ და „ეს პროცესიც ბოლომდე იქნება მიყვანილი”. მისივე თქმით, საჯარო მოსამსახურეებს და პედაგოგებს „წაკითხულის გააზრების სერიოზული პრობლემა“ აქვთ.[9] მომდევნო დღეს, 2024 წლის 3 დეკემბერს, ირაკლი კობახიძემ პრესკონფერენციისას „მთელი პასუხისმგებლობით” განაცხადა, რომ „თვითწმენდის პროცესი ძალიან საინტერესოდ წარიმართა და ყველა მოქმედებაზე იქნება სათანადო რეაგირება კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად”.[10] ამასთანავე, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ოფიციალური პირები თანამდებობიდან გადადგომისკენ უბიძგებენ იმ საჯარო მოხელეებს, რომლებმაც უკმაყოფილება გამოთქვეს.[11]

მალევე, 2024 წლის 9 დეკემბერს, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ დაინიცირდა ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ” კანონში,[12] „რითაც რეორგანიზაციის საკითხები საჯარო სექტორში გამარტივდება” და „ეს საჯარო სექტორის გაჯანსაღებას უზრუნველყოფს“.[13]

სუფლება“, 2024 წლის 1-ლი დეკემბერი.
ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33222551.html> [14.04.2025].

[9] „ირაკლი კობახიძე - კარგია, რომ სისტემა თვითწმენდის რეჟიმზეა გადასული, ეს პროცესი ბოლომდე იქნება მიყვანილი - ასევე, დიდი პრობლემაა, როცა წაკითხულის გააზრება უჭირთ საჯარო მოსამსახურეებს ან პედაგოგებს”, ინტერნეტ გამოცემა „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 2 დეკემბერი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4cOZ37W> [14.04.2025].

[10] „ირაკლი კობახიძე - უცხოურმა აგენტებმა და მათმა პატრონებმა გამოიყენეს ბოლო დარჩენილი რესურსი, მათ შორის, საჯარო სამსახურებში, თვითწმენდის პროცესი ძალიან საინტერესოდ წარიმართა“, საზოგადოებრივი მაუწყებელი „პირველი არხი“, 2024 წლის 3 დეკემბერი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3RvwWAH> [14.04.2025].

[11] „კობახიძე საკადრო წმენდაზე საუბრობს და აცხადებს, რომ საჯარო სამსახური „თვითწმენდის რეჟიმზეა გადასული““, ინტერნეტ გამოცემა „Civil Georgia“, 2024 წლის 2 დეკემბერი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/640523> [14.04.2025].

[12] მმართველმა პარტიამ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების კანონპროექტი 2024 წლის 4 დეკემბერს წარადგინა.
ხელმისაწვდომია: <https://www.parliament.ge/legislation/29794> [14.04.2025].

[13] „ქართული ოცნება“ საჯარო სექტორში რეორგანიზაციის საკითხებს ამარტივებს“, ინტერნეტ გამოცემა „Civil Georgia“, 2024 წლის 9 დეკემბერი.
ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/643242> [14.04.2025].

მეთოდოლოგია

კვლევაში შეფასებულია პროევროპული კურსის მხარდამჭერ საჯარო მოსამსახურეთა მიმართ განხორციელებული რეპრესიული ქმედებები. ასევე, გაანალიზებულია საჯარო სამსახურში საქმიანობასთან დაკავშირებული მარეგულირებელი კანონმდებლობა და კანონქვემდებარე აქტები. გარდა ამისა, დოკუმენტში მიმოხილულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) წარმოებაში არსებული საქმეები, რომლებიც ავლენს სამსახურიდან საჯარო მოსამსახურეების დაუსაბუთებლად გათავისუფლებისა ან დისციპლინირების მავნე პრაქტიკას.

საია უფასო იურიდიულ დახმარებას თბილისის ცენტრალური და 7 რეგიონული ოფისის საშუალებით გასცემს. რეპრესიული კანონმდებლობის შედეგად სამსახურიდან გათავისუფლების და სხვა შრომით-სამართლებრივ საკითხებზე ორგანიზაციას სამართლებრივი დახმარების თხოვნით 150-მდე პირმა მიმართა. საქმეთა ნაწილზე უკვე დაწყებულია სამართალწარმოების პროცესი საიას ჩართულობით.

საიამ საჯარო უწყებებიდან გამოითხოვა მასალები საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობის ცვლილების საკითხის შესასწავლად. ამასთანავე, ანგარიშში გამოყენებულია ღია წყაროებში ხელმისაწვდომი და მედიით გავრცელებული ინფორმაცია საჯარო მოხელეთა გათავისუფლების შესახებ. ასევე, კვლევა ეფუძნება საიას მიერ კანონმდებლობის ცვლილების თანადროულად გავრცელებულ განცხადებებსა და შეფასებებს.

კვლევის მიზანია, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია საჯარო სამსახურების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე აქტებში განხორციელებული რეპრესიული ცვლილებების შესახებ, წარმოაჩინოს საიას წარმოებაში არსებულ საქმეებზე გამოვლენილი მავნე პრაქტიკა და მისი ფართო კონტექსტი სახელმწიფო უწყებებიდან მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის შესწავლის გზით.

საკანონმდებლო ცვლილებები „ურჩი" მოხელეების დასასჯელად

ცვლილება „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში

მმართველმა პარტიამ „ურჩი" საჯარო მოსამსახურეების დასასჯელად „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის ცვლილება ინიციირებიდან ოთხ დღეში, 2024 წლის 13 დეკემბერს, დაჩქარებული წესით მიიღო და პრეზიდენტმაც იმავე დღეს, 2024 წლის 13 დეკემბერს მოაწერა ხელი.[14]

რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებებით მნიშვნელოვნად გაუარესდა საჯარო მოხელეების დაცვის მექანიზმები. იმავდროულად, გაიზარდა საჯარო სამსახურის პოლიტიზების რისკი.

ინიციირებული კანონპროექტის თავდაპირველი ვერსია მნიშვნელოვნად ასუსტებდა საჯარო მოხელის უფლებების დაცვის გარანტიებს და, მათ შორის, ქმნიდა რეორგანიზაციის პოლიტიკური წმენდისთვის გამოყენების შესაძლებლობას. მოგვიანებით, მეორე მოსმენით განხილვისას, კანონპროექტი, გარკვეულწილად, შეიცვალა და მას სხვა რეპრესიული ცვლილებებიც დაემატა.[15]

ცვლილებების შედეგად, ახლებურად მოწესრიგდა შემდეგი საკითხები:

> დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე, ცვლილებების მიხედვით, იქნებიან არა პროფესიული საჯარო მოხელეები, არამედ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

ეს ცვლილება, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად ასუსტებს მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული პირების დაცვის გარანტიებს - მათზე აღარ ვრცელდება მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები და გარანტიები (კანონის XII თავი), მეორე მხრივ კი, არაპროპორციულად ზრდის საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის გავლენას და აჩენს დაუსაბუთებელი, პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

---

[14] „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე". ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/29794> [15.04.2025].

[15] საია, „საჯარო სამსახურის შესახებ კანონში დაჩქარებული წესით შეტანილი ცვლილებები მოხელეებზე ზეწოლის გაზრდას და საჯარო სამსახურის კიდევ უფრო პოლიტიზებას ემსახურება", 2024 წლის 16 დეკემბერი. ხელმისაწვდომია: <https://www.gyla.ge/post/sajaro-samsaxuris-shesaxebkanoni-cvlilebebi> [15.04.2025].

ასევე, ახალი მოწესრიგებით:

- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და მისი მოადგილის ადმინისტრაციული ხელშეკრულების ვადა ვერ იქნება ამ დაწესებულების ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადაზე ხანგრძლივი;[16]

- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და მისი მოადგილის თანამდებობაზე დასანიშნად სავალდებულო არ იქნება კონკურსის ჩატარება;[17]

- თავდაპირველი ცვლილებებით, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს და მის მოადგილეს, როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს, აღარ მოეთხოვებოდათ სახელმწიფო ენის ცოდნა, მოხელის სერტიფიკატის ქონა და ასაკობრივი ცენზის დაკმაყოფილება. მოგვიანებით, 2025 წლის 6 თებერვალს განხორციელებული ცვლილებით, ამ პირებზე გავრცელდა სახელმწიფო ენის ცოდნისა და ასაკობრივი ცენზის დაცვის (18 წელს მიღწეული) ვალდებულება.

- დასახელებული თანამდებობის პირების გათავისუფლება შესაძლებელი იქნება შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ინიციატივით, რის შესახებაც პირს 1 თვით ადრე ეცნობება. ამ შემთხვევაში პირი მიიღებს კომპენსაციას მხოლოდ 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.[18]

საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნავს ამ საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, მის მოადგილეს ან ამავე საჯარო დაწესებულებაში მეორე რანგის თანამდებობაზე მომუშავე მოხელეს[19] (აქამდე არსებული მოწესრიგების მიხედვით, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ ნიშნავს ამ საჯარო დაწესებულებაში პირველი ან მეორე რანგის თანამდებობაზე მომუშავე მოხელეს).

რამდენადაც მიღებული ცვლილებები სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და მისი მოადგილის პოზიციების პოლიტიზებას და მათი არასათანადო გავლენების მიმართ მოწყვლადობას ემსა-

[16] „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 81 (2).
[17] იქვე, მუხლი 78 (2).
[18] იქვე. მუხლი 82 (2).
[19] იქვე, მუხლი 37 (2).

ხურება, ამ პირების მიერ საკონკურსო კომისიის ხელმძღვანელობა აჩენს თავად კონკურსის პოლიტიზების საფრთხესაც.

> გამარტივდა რეორგანიზაციის პროცესი - შესაძლებელი იქნება მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლება მობილობის შესაძლებლობის უპირატესად განხილვის ვალდებულების გარეშე;
>
> რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ შეაჩერებს ამ გადაწყვეტილების მოქმედებას;
>
> რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებული პირის საჩივრის/სარჩელის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილება არ გამოიწვევს სამსახურში მის აღდგენას.

ახალი მოწესრიგებით, მარტივდება რეორგანიზაციის გამოყენება პოლიტიკური წმენდის იარაღად.

- *ცვლილებებამდე მოქმედი რედაქცია ითვალისწინებდა შესაძლებლობას, რეორგანიზაციის შედეგად შტატების შემცირების შემთხვევაში, მოხელე, მისი თანხმობით, გადაყვანილი ყოფილიყო იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე. რეორგანიზაციის დროს, შტატების შემცირების გამო, მოხელე თანამდებობიდან გათავისუფლდებოდა მხოლოდ ასეთი მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში.* **ცვლილების მიხედვით,** ამგვარი გარანტია მოხელეებზე აღარ გავრცელდება და შესაძლებელი იქნება თანამდებობიდან მათი გათავისუფლება იმის მიუხედავად, შესაძლებელია თუ არა მობილობა;[20]
- საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან მისი შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების, ასევე, ამ პროცესში ან/და მასთან დაკავშირებით მიღებული რომელიმე **გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას**;[21]
- რეორგანიზაციის შედეგად სამსახურიდან გათავისუფლებული პირი თანამდებობაზე ვერ აღდგება სასამართლოს მიერ მისი საჩივრის/სარჩელის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი. მას მხოლოდ მიეცემა განაცდური თანამდებო-

[20] იქვე, მუხლი 52, მუხლი 110 (1).
[21] იქვე, მუხლი 118 (2).

ბრივი სარგო, ასევე, ამ თანხის 3 თვის ოდენობა კომპენსაციის სახით და, მისი თანხმობით, ჩაირიცხება მოხელეთა რეზერვში.[22]

> საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ყველა იერარქიული რანგის თანამდებობაზე მომუშავე მოხელე შეაფასოს 6 თვეში ერთხელ;[23] საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია, მოხელის შეფასების შედეგები შეცვალოს მისი შეფასებიდან 1 თვის ვადაში.[24]

ახალი მოწესრიგებით, მცირდება მოხელის შეფასების ვალდებულების პერიოდულობა და, 1 წლის ნაცვლად, განისაზღვრება 6 თვით. ასევე, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს ენიჭება უფლებამოსილება, მოხელის შეფასების შედეგები შეცვალოს მისი შეფასებიდან 1 თვის ვადაში. ამასთანავე, კანონის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, მოხელეს დაუკავდება თანამდებობრივი სარგოს 20% მისი მომდევნო შესაფასებელი პერიოდის დაწყებამდე. **ამგვარი რეგულირება ქმნის საფრთხეს, რომ მოხელის შეფასება დაუსაბუთებლად და ბოროტად იყოს გამოყენებული, როგორც მისი დასჯის მექანიზმი.**

„საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის ცვლილებების მეორე ტალღა

2025 წლის თებერვალში პარლამენტმა „საჯარო სამსახურის შესახებ” კანონში ცვლილებების კიდევ ერთი ტალღა დაიწყო. შედეგად, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი ახლებურად დარეგულირდა. წინა პროცესის მსგავსად, მმართველმა პარტიამ ცვლილებები ამჯერადაც დაჩქარებული წესით, ინიციირებიდან სამ დღეში მიიღო.

ცვლილებებს შორის, უმნიშვნელოვანესი იყო წინა რედაქციით საჯარო სამსახურის ბიუროსთვის მიკუთვნებული უფლებამოსილებების გადაცემა საქართველოს მთავრობისთვის, რამაც 2025 წლის 1-ლი აპრილიდან ბიუროს ლიკვიდაცია გამოიწვია.[25]

---

[22] იქვე, მუხლი 118 (6).
[23] იქვე, მუხლი 53 (1).
[24] იქვე, მუხლი 53 (9).
[25] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. **ხელმისაწვდომია:** https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/381239 [16.04.2025].

ცვლილების მიზნად მართვის რაციონალიზაცია და ხარჯების ოპტიმიზაცია დასახელდა,[26] ხოლო ბიუროს უფლებამოსილებაში დარჩენილ ფუნქციებს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი დეპარტამენტები განახორციელებენ.[27] არც საზოგადოებისა და არც ბიუროს თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა შეფასების დოკუმენტი, რომელიც ბიუროს მართვის რაციონალიზაციის პრობლემას ან ხარჯების ოპტიმიზაციის საჭიროებას წარმოაჩენდა.[28]

გარდა ამისა, გაუქმდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეების კონკურსის საფუძველზე დანიშვნის წესი და ეს უფლებამოსილება გადაეცა შესაბამისი სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოს ან იმ უწყების ხელმძღვანელს, რომლის მმართველობის სფეროშიც შედის ესა თუ ის საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ასევე, ცვლილებით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებთან შრომითი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან მისი შერწყმით გამოწვეული შტატების შემცირების გამო.[29]

ამასთანავე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ დააანონსა, რომ „შეიზღუდება საჯარო სამსახურში უცხოური წყაროებიდან დაფინანსებული სარგებლის მიღება შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე“.[30]

---

[26] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/380369 [16.04.2025].

[27] მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური, „მთავრობის გადაწყვეტილებით, საჯარო სამსახურის ბიურო საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით აღარ იარსებებს“, 2025 წლის 3 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=91160 [16.04.2025].

[28] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განცხადება, „საჯარო სამსახურის ბიუროს ლიკვიდაციის გადაწყვეტილება საჯარო სამსახურში რეპრესიების გაგრძელებაა“, 2025 წლის 5 თებერვალი. ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/sajarosamsaxurisbiurolikvidacia [16.04.2025].

[29] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/385085 [16.04.2025].

[30] „ქართული ოცნება“ სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წინააღმდეგ რეპრესიულ საკანონმდებლო ინიციატივებს ამზადებს“, ონლაინ გამოცემა „Civil Georgia“, 2025 წლის 5 თებერვალი. **ხელმისაწვდომია:** https://civil.ge/ka/archives/660178 [16.04.2025].

ცვლილება დიპლომატიური სამსახურის გავლის წესში

საგარეო საქმეთა მინისტრის 2025 წლის 27 იანვრის №01-74 ბრძანებით, ცვლილებები შევიდა დიპლომატიური სამსახურის გავლის წესში, რითაც გაუარესდა დიპლომატიურ სამსახურში დასაქმებული პირების უფლებრივი მდგომარეობა. საიას შეფასებით, ეს არის 2024 წლის დეკემბრიდან საჯარო მოხელეების მიმართ დაწყებული რეპრესიების გაგრძელება და პირდაპირ იმეორებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შესულ ცვლილებებს.[31]

ეს ცვლილება ფორმალური კანონიერების პრინციპის უხეში დარღვევითაა მიღებული. ბრძანებამ, როგორც ქვემდგომმა აქტმა, ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი იერარქიის საწინააღმდეგოდ, გააუარესა ზემდგომი აქტით, ანუ დიპლომატიური სამსახურის შესახებ კანონით დადგენილი სამართლებრივი მოცემულობა.[32]

> „დიპლომატიური სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის საწინააღმდეგოდ, ადმინისტრაციული ხელშეკრულება გავრცელდება დიპლომატიური თანამდებობის პირებზე.

ცვლილებების მიხედვით, ბრძანებაში, რომელიც აწესრიგებს დიპლომატიური სამსახურის გავლის წესს, გაჩნდა პირველადი სტრუქტურული ერთეულის და მისი მოადგილის ცნებები.[33] ამ პოზიციებზე დანიშვნა შესაძლებელი იქნება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით.[34] შედეგად, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დაინიშნებიან სამინისტროს გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორი, დეპარტამენტის დირექტორი, დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე და მინისტრის სამდივნოს უფროსი,[35] იმის მიუხედავად, რომ „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ კანონით ისინი <u>არ განიხილებიან</u> ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად.[36]

---

[31] საია, „საია დიპლომატიური სამსახურის გავლის წესებში უკანონო და რეპრესიულ ცვლილებებს ეხმიანება“, 2025 წლის 31 იანვარი. **ხელმისაწვდომია:** https://gyla.ge/post/diplomatiuri-samsaxuri-represiebi [17.04.2025]; საია, „საჯარო სამსახურის შესახებ კანონში დაჩქარებული წესით შეტანილი ცვლილებები მოხელეებზე ზეწოლის გაზრდას და საჯარო სამსახურის კიდევ უფრო პოლიტიზებას ემსახურება“, 2024 წლის 16 დეკემბერი. **ხელმისაწვდომია:** https://gyla.ge/post/sajaro-samsaxuris-shesaxebkanoni-cvlilebebi [17.04.2025].

[32] იქვე.

[33] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2025 წლის 27 იანვრის ბრძანება „დიპლომატიური სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 3 (1).

[34] იქვე, მუხლი 11^1.

[35] იქვე, მუხლი 11^1 (2).

[36] „დიპლომატიური სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონი, მუხლები 2 (ი.გ), 12, 13.

საქართველოს კანონი „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ არის უფრო სპეციალური, ვიდრე „საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონი. იგი აწესრიგებს საქართველოს დიპლომატიური სამსახურის ორგანიზების სამართლებრივ საფუძვლებს, დიპლომატიური სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ამ სამსახურში მყოფი პირის სამართლებრივ მდგომარეობას. კანონი განმარტავს ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის ცნებას და პირდაპირ ადგენს, რომ *ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულია პირი, რომელსაც არ უკავია ამ კანონით დიპლომატიური თანამდებობის პირისთვის, ადმინისტრაციული პერსონალისა ან ტექნიკური პერსონალისთვის გათვალისწინებული თანამდებობა.*[37] ამავე კანონის მიხედვით, სამინისტროს გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორი და სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირები არიან,[38] ხოლო სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე და მინისტრის სამდივნოს უფროსი - უფროსი დიპლომატიური თანამდებობის პირები.[39]

> ცვლილებით, ჩნდება დიპლომატიური სამსახურის პოლიტიზების, აქ დასაქმებულ პირთა გარანტიების შესუსტებისა და მათ მიმართ პოლიტიკური დისკრიმინაციის ინსტრუმენტირების საფრთხე.

ცვლილებების შედეგად, მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტა ავტომატურად გამოიწვევს უფროსი და უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირებთან ხელშეკრულების შეწყვეტას.[40]

ამგვარი მოწესრიგება აჩენს „ქართული ოცნების“ მხრიდან პოლიტიკური მანიპულირების მნიშვნელოვან რისკს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით თავიდანვე გაიმიჯნა პოლიტიკური და აღმასრულებელი ფუნქციები, რათა საჯარო სამსახური დაცული ყოფილიყო პოლიტიკური გავლენებისგან. ამჯერად კი, მიდგომა სრულად იცვლება. პირველ ყოვლისა, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები ამ პოზიციაზე, შესაძლოა, პარტიული ნიშნით განწესდნენ, ვინაიდან, პროფესიული საჯარო მოხელეებისგან განსხვავებით, მათ აღარ მოეთხოვებათ პოლიტიკური ნეიტრალიტეტი. მეორე მხრივ, ამგვარად დანიშნული პირები დაექვემდებარებიან პოზიციიდან თვითნებურ გათავისუფლებას იმ შემთხვევაში, თუ მათი მოსაზრებები პარტიულ

[37] იქვე, მუხლი 2 (ი.გ).
[38] იქვე, მუხლი 12.
[39] იქვე, მუხლი 13.
[40] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2025 წლის 27 იანვრის ბრძანება „დიპლომატიური სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 11[1] (7, თ).

ინტერესებთან თანხვედრაში აღარ იქნება. ეს, თავის მხრივ, დაუცველს ტოვებს როგორც დასაქმებულს, ისე თვითონ სტრუქტურას, რომლის ეფექტიანობა და თვითმყოფადობა პროფესიული კადრების სტაბილურობასა და მუდმივობაზეა დამოკიდებული.

> დიპლომატიურ სამსახურში, გარდა კანონისმიერი საფუძვლებისა, შესაძლებელი ხდება ამ თანამდებობის პირთა ხელშეკრულების შეწყვეტა ერთ-ერთი მხარის ინიციატივით.

ცვლილებით შესაძლებელი გახდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტა ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისთვის 1 თვით ადრე შეტყობინების ვალდებულებით. თუ ადმინისტრაციული ხელშეკრულება მინისტრის ინიციატივით წყდება, დასაქმებულ პირს ეძლევა კომპენსაცია 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ხოლო, თუ ადმინისტრაციული ხელშეკრულება წყდება მინისტრის ინიციატივით, მეორე მხარისთვის 1 თვეზე უფრო გვიანდელი შეტყობინების პირობებში, დასაქმებულ პირს ეძლევა კომპენსაცია 2 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.[41]

[41] იქვე, მუხლი 11^1 (9).

რეპრესიები საჯარო სამსახურში

2024 წლის დეკემბერში „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე, მალევე დაიწყო ე.წ. წმენდის პროცესი და სამსახურებიდან საჯარო მოხელეების გათავისუფლება. გარდა ამისა, განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი დაწესებულების ლიკვიდაცია.

ათობით საჯარო სტრუქტურიდან, პოლიტიკური ნიშნით, 800-ზე მეტი თანამშრომელია გათავისუფლებული.[42] მათ შორის, დაახლოებით, 150-მდე პირი გამოუშვეს თავდაცვის სამინისტროდან. მათ ნაწილს სამართლებრივ დახმარებას საია უწევს.[43]

ცვლილებების ამოქმედებისთანავე საჯარო უწყებებში პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად ჩაითვალნენ. მალევე, მათ ნაწილს, ზოგ შემთხვევაში, ახალი წლის ღამეს, გათავისუფლების შესახებ შეატყობინეს.[44]

განხორციელდა ორი მნიშვნელოვანი უწყების - საჯარო სამსახურის ბიუროსა და პარლამენტის კვლევითი ცენტრის - ლიკვიდაცია.

2025 წლის 10 მარტს ლიკვიდირებულად გამოცხადდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - პარლამენტის კვლევითი ცენტრი. ამის მიზეზად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ იმ თავდაპირველი მიზნის შეუსრულებლობა დაასახელა, რომელიც კვლევითი ცენტრის შექმნას დაედო საფუძვლად.[45] ლიკვიდაციის შედეგად, სამსახუ-

---

[42] „კონსტიტუციის 78-ე მუხლი: საჯარო სამსახურებიდან უკვე 800-ზე მეტი ადამიანი გაათავისუფლეს", ტელეკომპანია „ფორმულა", 2025 წლის 24 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/კონსტიტუციის_78-ე_მუხლი:_საჯარო_სამსახურებიდან_უკვე_800-ზე_მეტი_ადამიანი_გაათავისუფლეს/125348 [05.05.2025].

[43] საია, „საიას შეფასება თავდაცვის სამინისტროდან თანამშრომელთა გათავისუფლების შესახებ, 2025 წლის 19 მარტი. ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/gyla-shepaseba-tavdacvis-tanamshromeli [23.04.2025].

[44] „იუსტიციის სახლიდან კიდევ ერთი თანამშრომელი - იუსტიციის სახლის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი მეგი კაციტაძე გაათავისუფლეს", ინტერნეტ გამოცემა „პუბლიკა", 2025 წლის 9 იანვარი. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/share/p/1AEifQWXUa/ [23.04.2025]; „SJC-მა იუსტიციის სამინისტროს 3 თანამშრომლის გათავისუფლებაზე სასამართლოს მიმართა", ტელეკომპანია „ფორმულა", 2025 წლის 1-ლი აპრილი. ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/124783 [23.04.2025].

[45] „საკანონმდებლო ორგანომ შალვა პაპუაშვილის მიერ მომზადებულ „პარლამენტის რეგლამენტში" ცვლილებებს პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა", საზოგადოებრივი მაუწყებელი - პირველი არხი, 2025 წლის 5 თებერვალი. ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/sakanonmdeblo-organom-shalva-papuashvilis-mier-momzadebul-parlamentis-reglamentshi-cvlilebebs-pirveli-mosmenit-mkhari-dauchira/ [23.04.2025].

რის გარეშე 21 ადამიანი დარჩა.[46]

2025 წლის 1-ლი აპრილიდან, რაციონალიზაციისა და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, გაუქმდა საჯარო სამსახურის ბიურო[47] და მის უფლებამონაცვლედ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია გამოცხადდა.[48]

ამ პროცესის კვალდაკვალ ცვლილებები შევიდა „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილებაში. ცვლილებების მიხედვით, ახლებურად განისაზღვრა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულები და მათი უფლებამოსილებები. ბიუროს ფუნქციების შესრულება კი საჯარო სამსახურში ადამიანური კაპიტალის მართვის ახლად შექმნილ დეპარტამენტს დაევალა.

2025 წლის 11 აპრილის მდგომარეობით, ზემოხსენებულ დეპარტამენტში 15 ადამიანია დასაქმებული.[49] უცნობია, აქედან რამდენია გადმოყვანილი საჯარო სამსახურის ბიუროდან მობილობის წესით.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 24 იანვარს ცვლილება შევიდა „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებაში, რომლითაც განისაზღვრა სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეთა ზღვრული ასაკი. ცვლილების მიხედვით, შესაბამისი წოდებისთვის დადგენილი ზღვრული ასაკის მიღწევა სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველია. რეორგანიზაციის გარდა, სწორედ ამ ცვლილებაზე დაყრდნობით, უწყებიდან არაერთი პირი გათავისუფლდა.[50]

---

[46] „კიდევ 21 გათავისუფლებული: გამოცხადდა პარლამენტის კვლევითი ცენტრის გაუქმების თარიღი“, ინტერნეტ გამოცემა „რადიო თავისუფლება“. 2025 წლის 6 თებერვალი. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/კიდევ-21-გათავისუფლებული/33305429.html [23.04.2025].

[47] მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური, მთავრობის გადაწყვეტილებით, საჯარო სამსახურის ბიურო საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით აღარ იარსებებს, 2025 წლის 3 თებერვალი. ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=91160 [23.04.2025].

[48] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/381239 [16.04.2025].

[49] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2025 წლის 11 აპრილის №GOV

[50] საია, „საიას შეფასება თავდაცვის სამინისტროდან თანამშრომელთა გათავისუფლების შესახებ, 2025 წლის 19 მარტი. ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/gyla-shepaseba-tavdacvis-tanamshromeli [23.04.2025].

ამასთანავე, ბოლო პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტროში დაწყებული ფართომასშტაბიანი რეორგანიზაციის შესახებ, რომელსაც, სავარაუდოდ, 250-მდე თანამშრომლის გათავისუფლება მოჰყვება.[51]

საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, თანამშრომლებისთვის გაგზავნილ წერილში მინისტრი აღნიშნავს, რომ „რეფორმამ შესაძლებლობა უნდა მისცეს პროფესიონალ დიპლომატებს, უკეთ მოახმარონ საკუთარი გამოცდილება სახელმწიფოს ინტერესების დაცვას; ახალგაზრდა თაობას კი, უნდა გაუჩინოს უკეთესი შესაძლებლობები, საგარეო სამსახურში დაიმკვიდროს თავი, ჯანსაღი კონკურენციის საფუძველზე; ამასთანავე, ყველას მიეცეს კარიერული ზრდის ობიექტური შესაძლებლობები".

როგორც ირკვევა, რეორგანიზაციის შედეგად, შეიქმნება ოთხი პოლიტიკური დირექტორატი, რომელიც გააერთიანებს 10 დეპარტამენტს და 25 სამმართველოს, მათ შორის, ევროპის საქმეთა პოლიტიკურ დირექტორატში შევა ევროპისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტები.[52]

საჯარო უწყებებიდან მოთხოვნილი ინფორმაცია

საიამ საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა იმ სახელმწიფო უწყებებიდან, რომელთა თანამშრომლების გათავისუფლების შესახებ აქტიურად საუბრობდნენ. მათ შორის, განცხადებები წარედგინა: საქართველოს მთავრობას, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ იუსტიციის სახლს, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს, ქალაქ თბილისის მერიას.

მოთხოვნილი ინფორმაცია ეხებოდა ამოქმედებული ცვლილებების შემდგომ გათავისუფლებული საჯარო მოხელეების, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების ადმინისტრაციულ შრომით ხელშეკრულებაზე გადაყვანისა და ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძვლით გათავისუფლებული თანამშრომლების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს.

განცხადების პასუხად, საიამ მხოლოდ სამი უწყების - სსიპ იუსტიციის სახლის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს თავდაცვის

[51] „საგარეო საქმეთა სამინისტროში რეორგანიზაცია იწყება", ინტერნეტ გამოცემა „რადიო თავისუფლება", 2025 წლის 1-ლი მაისი. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33402213.html [05.05.2025].

[52] იქვე.

სამინისტროს - წერილები მიიღო. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:

სსიპ იუსტიციის სახლში: [53]

- ოთხ პირს შეუწყდა ადმინისტრაციული ხელშეკრულება; დამატებით, ახალი ცვლილების შედეგად, იუსტიციის სახლის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველზე, ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეუწყდა სამ პირს;
- ასევე, ახალი ცვლილებების შესაბამისად, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები - ჯამში, 52 პირი - თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით, ჩაითვალნენ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად;
- ვადიანი შრომითი ურთიერთობის ამოწურვის შემდეგ, 11 პირს არ გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[54] მთავრობის ადმინისტრაციაში, საჯარო სამსახურის ბიუროს უფლებამოსილების შესასრულებლად, შეიქმნა საჯარო სამსახურში ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტი, რომელშიც, პასუხის გამოგზავნის მომენტისთვის, დასაქმებული იყო 15 პირი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[55] 2025 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით (2024 წლის დეკემბრიდან), უწყებიდან გათავისუფლებულია 99 პირი, მათ შორის, პროფესიული საჯარო მოხელეები, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

ამასთანავე, შეიცვალა პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეების - ჯამში, 48 პირის - სამართლებრივი სტატუსი და ისინი ჩაითვალნენ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად.

ამ დრომდე, საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების გასვლის მიუხედავად, სხვა უწყებებისგან რაიმე წერილობითი პასუხი საიას არ მიუღია.

---

[53] სსიპ იუსტიციის სახლის 2025 წლის 4 აპრილის №2337 წერილი.

[54] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2025 წლის 11 აპრილის №GOV

[55] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2025 წლის 29 აპრილის №MOD 9 25 00544104) წერილი.

საიას წარმოებაში არსებული საქმეები

სამართლებრივი დახმარების მისაღებად საიას არაერთმა საჯარო მოხელემ მიმართა, რომლებსაც ხსენებული ცვლილებები შეეხო. მათი ნაწილი სამსახურიდან ფორმალური, დაუსაბუთებელი საფუძვლით გაათავისუფლეს, რასაც წინ უძღოდა მტრული გარემოს შექმნა სამუშაო ადგილზე. ზოგიერთი მათგანი ცვლილებებამდე დასაქმებული იყო პროფესიული საჯარო მოხელის პოზიციაზე, ახალი რეგულირებით კი ისინი ავტომატურად ჩაითვალნენ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად, რამაც შესაძლებელი გახადა მათი გათავისუფლება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

საია სამართლებრივ დახმარებას უწევს პირებს, რომლებიც დავობენ სამსახურიდან განსხვავებული/პოლიტიკური შეხედულების გამო, დისკრიმინაციის საფუძვლით, უკანონო გათავისუფლების თაობაზე. ერთ-ერთი მათგანის საქმე კი შეეხება პროევროპულ აქციებში მონაწილეობისთვის დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმის საფუძველზე სამუშაო ადგილზე დაწყებული დისციპლინური მოკვლევისა და, შედეგად, დისციპლინური სახდელის გაუქმებას.

მოკლედ საქმეების შესახებ:

საქმე N1:

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძვლით, გათავისუფლდა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტიდან. აღსანიშნავია, რომ მას შეთანხმებული ჰქონდა 2025 წლის სამუშაო გეგმა და მიმართულებები.

განსხვავებული/პოლიტიკური შეხედულების ნიშნით დისკრიმინაციულ მოპყრობას ადასტურებს ისიც, რომ გათავისუფლებულ პირს არაერთხელ მოსთხოვეს, თავი შეეკავებინა პოლიტიკური შეხედულებების დაფიქსირებისა და სოციალურ ქსელში აქტიურობისგან. ბოლო შეხვედრაზე კი უთხრეს, რომ, თუ ამ მოთხოვნებს შეასრულებდა, ხელშეკრულებას გაუგრძელებდნენ.

საქმე N2:

პირი, რომელიც 35 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო სამცხე-ჯავახეთში მოქმედ ერთ-ერთ ა(ა)იპ-ში, სამსახურიდან შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძვლით გაათავისუფლეს. აღსანიშნავია, რომ, სათანადო სტაჟის მიუხედავად, მასთან ყოველ ჯერზე იდებოდა ერთწლიანი ხელშეკრულებები. ბოლო ხელშეკრულებაც დადებული იყო 1 წლის ვადით - 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

დასაქმებული სამსახურიდან მის გათავისუფლებას ღია და საჯარო განცხადებების გამო დისკრიმინაციას უკავშირებს. იმავდროულად, ის იყო ერთ-ერთი ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი და სახალხო დამცველთან არსებული საბჭოს წევრი, რომლებმაც გააკეთეს საჯარო განცხადება და შეშფოთება გამოხატეს თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციებზე გაბატონებულ ძალადობაზე.

საქმე N3:

პირი დასაქმებული იყო ქ. თბილისის ერთ-ერთ ხელოვნების სკოლაში დირექტორის მოადგილის პოზიციაზე - 2018 წლიდან და საორგანიზაციო საინფორმაციო სამსახურის მენეჯერის პოზიციაზე - 2012 წლიდან. ასევე, მუშაობდა ფორტეპიანოს პედაგოგად.

2025 წლის 13 იანვრიდან სკოლაში დირექტორის მოვალეობის ახალი შემსრულებელი დაინიშნა.

დირექტორი დასაქმებულს აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ასევე, ადანაშაულებდა სასწავლო პროცესის ჩაშლაში, დირექტორის მოადგილეობის პერიოდში შესრულებული დოკუმენტაციის შეუსაბამობებსა და მათ განადგურებაში. სკოლაში იბარებდა მოსწავლეთა ნაწილის მშობლებს და სხვა პედაგოგებთან გადასვლას სთავაზობდა.

იგი გაათავისუფლეს, მათ შორის, დისკრიმინაციული მოტივით, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე განსხვავებული შეხედულების გამო. დირექტორისთვის ასევე მიუღებელი იყო დასაქმებულის სიარული საპროტესტო აქციებზე. ამის გამო, ის ემუქრებოდა დისციპლინური სახდელის სახით ჯარიმის გამოყენებით და მოუწოდებდა, მონაწილეობა აღარ მიეღო საპროტესტო აქციებში.

2025 წლის 3 თებერვალს, დირექტორის მოხსენებითი ბარათით, დისციპლინური სახდელის სახით, დასაქმებულს გამოეცხადა შენიშვნა, 2025 წლის 17 თებერვალს - საყვედური, 2025 წლის 19 თებერვალს - სასტიკი საყვედური, ხოლო 2025 წლის 24 თებერვალს გათავისუფლდა დირექტორის მოადგილის და საორგანიზაციო საინფორმაციო სამსახურის მენეჯერის პოზიციებიდან, ასევე, შეუწყდა ხელშეკრულება ფორტეპიანოს პედაგოგის პოზიციაზე. მოგვიანებით, 11 მარტს, დირექტორმა გათავისუფლების ბრძანებაში შეიტანა ცვლილება და ფორტეპიანოს პედაგოგის პოზიციიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება გააუქმა.

საქმე N4:

პირს, რომელიც დასაქმებული იყო თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში უვადო შრომითი ხელშეკრულებით, ხელი ჰქონდა მოწერილი საჯარო მოხელეების ერთობლივ განცხადებაზე ევროინტეგრაციის პროცესის მხარდასაჭერად.

სამინისტრომ ის თებერვალში გააფრთხილა, რომ მიმდინარეობდა რეორგანიზაცია და მას დაკავებული პოზიციიდან ათავისუფლებდნენ.

1-ლი მარტიდან მას შრომითი ხელშეკრულება შეუწყდა იმ დასაბუთებით, რომ, რეორგანიზაციის შედეგად, გათავისუფლდნენ ძირითადი უფლებამოსილებების განმახორციელებელი საჯარო მოხელეები, შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების (როგორც დამხმარე ფუნქციების შემსრულებლების) სამსახურში დატოვება აღარ იყო საჭირო. ამის მიუხედავად, იმ პოზიციაზე, რომელზეც გათავისუფლებული პირი მუშაობდა, შტატების რაოდენობა არ შემცირებულა.

მეტიც, იმავე ფუნქციის განმახორციელებელ სხვა პირთან, რომელიც არ იყო საჯარო მოხელეების ერთობლივი განცხადების ხელმომწერი, შრომითი ხელშეკრულება არ შეწყვეტილა.

საქმე N5:

2025 წლის 27 იანვარს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულში, საშტატო-საორგანიზაციო ცვლილებების მიზნით, რეორგანიზაცია გამოცხადდა.

2025 წლის 27 თებერვლის ბრძანებით, რეორგანიზაციის საფუძვლით, პირი სამსახურიდან გაათავისუფლეს.

მისი შეფასებით, გათავისუფლებას, მათ შორის, საფუძვლად უდევს დისკრიმინაციული მოტივი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით მისი პოზიციების გამო, რომელიც თანხვედრაში არ არის გათავისუფლება-რეორგანიზაციის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირების პოზიციებთან.

კანონით გათვალისწინებული წესით გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ ადმინისტრაციული საჩივარი შინაარსობრივად არ განხილულა, ხოლო საპასუხო წერილში განმარტებულია: „გაცნობებთ, რომ თქვენი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს“.

საქმე N6:

პირი, რომელიც შემოსავლების სამსახურშია დასაქმებული, შსს-მ პროევროპულ აქციებში მონაწილეობისთვის დააჯარიმა, ხოლო საჯარიმო ქვითარი სამსახურში გაუგზავნა.

საჯარიმო ქვითარი მოთავსებული იყო კონკრეტულად ამ პირისთვის განკუთვნილ კონვერტში და ეწერა „კონფიდენციალური“. ამის მიუხედავად, ის შემოსავლების სამსახურის კანცელარიის თანამშრომელმა გახსნა და, გარდა ადრესატისა, დააწერა სამსახურებრივი მონიტორინგის უფროსსაც.

საჯარიმო ქვითრის საფუძველზე, დასაქმებულის წინააღმდეგ დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება.

შემოწმების ფარგლებში, პირმა უარი განაცხადა წერილობითი ფორმით ახსნა-განმარტების მიცემაზე, თუმცა ზეპირსიტყვიერად განმარტა, რომ მონაწილეობდა მშვიდობიან საპროტესტო აქციაში, მაგრამ არ ჩაუდენია არანაირი სამართალდარღვევა.

მის მიერ მიწოდებული ეს ინფორმაცია არასწორად ინტერპრეტირდა. მასალებში მითითებულია: „მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მან 2025 წლის 13 მარტს სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტში ზეპირსიტყვიერად აღნიშნა, რომ სისტემატურად მონაწილეობს <u>ოპოზიციის მიერ დაგეგმილ ანტისამთავრობო საპროტესტო აქციებში</u> საკანონმდებლო ორგანოს წინ, რუსთაველის გამზირზე, ხოლო რაც შეეხება მის მიერ 2025 წლის 7 თებერვალს საპროტესტო აქციაში მონაწილეობას, იგი აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს“.

შემოწმების შედეგად, მის მიმართ გამოყენებული იყო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - „გაფრთხილება“.

საქმე N7:

პირი, რომელიც დასაქმებული იყო თბილისის მერიაში, ეტაპობრივად ჩამოაშორეს ძირითად საქმიანობას, ხოლო შემდეგ გააუქმეს პოზიცია, რომელსაც იგი 10 წლის განმავლობაში იკავებდა.

მას მიაჩნია, რომ გათავისუფლება განპირობებული იყო დისკრიმინაციული მოტივით, მმართველი პარტიისგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო. იგი ღიად გამოხატავდა საკუთარ პოზიციას აქციებსა და მედიასაშუალებებში საქართველოს ევროატლანტიკური კურსის საჭიროებაზე. ასევე, ხელი ჰქონდა მოწერილი საჯარო მოხელეთა საერთო განცხადებაზე.

ამასთანავე, იგი აღნიშნავს, რომ მუშაობის ბოლო პერიოდში მის ირგვლივ შეიქმნა მტრული სამუშაო გარემო. განსხვავებული აზრის გამოხატვის გამო, უარყოფით დამოკიდებულებას გრძნობდა ზოგიერთი კოლეგის მხრიდან — თანამშრომლებმა, რომლებსაც მასთან უნდა შეეთანხმებინათ საქმიანობის სტრატეგია, აქციებში მონაწილეობის მიზეზით, მასთან ყოველგვარი კომუნიკაცია შეწყვიტეს.

განხილულ შემთხვევებში, პირების სამსახურიდან გათავისუფლება ემყარება, ერთი მხრივ, თითქოს დასაბუთებულ ფორმალურ-სამართლებრივ საფუძველს, ხოლო მეორე მხრივ, საკანონმდებლო ცვლილებების რეპრესიულ იარაღად გამოყენების შესაძლებლობას.

ვადის ამოწურვის მოტივით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ყველაზე ხშირად გამოყენებული საფუძველი გახდა პროევროპული მოძრაობის მხარდამჭერი საჯარო მოხელეების სამსახურიდან გასათავისუფლებლად.

2024 წლის დეკემბრიდან დღემდე პერმანენტულად ვრცელდებოდა ინფორმაცია, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის მოტივით, სამსახურებიდან დასაქმებულთა გათავისუფლების შესახებ.[56] მათი აბსოლუტური უმრავლესობა გათავისუფლების რეალურ მიზეზად საკუთარი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას ან განცხადებაზე ხელმოწერას მიიჩნევს.

საქართველოს შრომის კოდექსი უშვებს ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას განსაზღვრული/დროებითი

[56] „მორჩილი საჯარო სექტორი? - გათავისუფლება ერთი წინადადებით“, ონლაინ გამოცემა „რადიო თავისუფლება“, 2025 წლის 9 იანვარი. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/საჯარო-სექტორიდან-გათავისუფლებულები/33269956.html [18.04.2025].

სამუშაოს შესასრულებლად.[57] შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად კი მისი ვადის გასვლა განისაზღვრება.[58] მეორე მხრივ, მხარეთა შრომითსამართლებრივი დაცვის პერსპექტივიდან გამომდინარე, ხელშეკრულების ვადის გასვლა აპრიორი ვერ გახდება მისი შეწყვეტის საფუძველი სამუშაოს ამოწურვის ან კადრების საჭიროების არარსებობის დასაბუთების გარეშე.

მოცემულ შემთხვევებში, საყურადღებოა, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა გამოწვეული არ ყოფილა შესასრულებელი სამუშაოს ამოწურვით ან კადრების საჭიროების არარსებობით, არამედ ის უკავშირდებოდა დასაქმებულის მიერ საჯაროდ გაკეთებულ განცხადებებს და ასეთი ქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნის შეუსრულებლობას.

გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად რეორგანიზაციის პროცედურების გამარტივებამ ხელი შეუწყო პოლიტიკური მოტივით მის ჩატარებას და დაუსაბუთებლად თანამშრომელთა გათავისუფლებას. ამასთანავე, ცვლილებით დადგენილმა წესმა, რომელმაც დასაქმებულები, ფაქტობრივად, გასაჩივრების უფლების გარეშე დატოვა გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერების არარსებობის პირობებში, გაზარდა ხელისუფლებისთვის „ურჩი" დასაქმებულების თვითნებურად დევნის შესაძლებლობა.

[57] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი", მუხლი 12 (3).
[58] იქვე, მუხლი 47 (1, ბ).

დასკვნა

წარმოდგენილი დოკუმენტის მომზადების ფარგლებში საიამ შეისწავლა 2024 წლის დეკემბრიდან საჯარო სამსახურების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე აქტებში შეტანილი ცვლილებები, ამ ცვლილებების საფუძველზე საჯარო მოსამსახურეთა გათავისუფლების/დისციპლინირების მავნე პრაქტიკა და საიას წარმოებაში არსებული საქმეები.

რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებებით, მნიშვნელოვნად გაუარესდა საჯარო მოხელეების დაცვის მექანიზმები, იმავდროულად, გაიზარდა საჯარო სამსახურის პოლიტიზების რისკი. ცვლილებები მნიშვნელოვნად ასუსტებს საჯარო მოხელის უფლებათა დაცვის გარანტიებს და, მათ შორის, ქმნის რეორგანიზაციის პროცესის პოლიტიკური წმენდისთვის გამოყენების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ის დაცვის სამართლებრივი მექანიზმების გარეშე ტოვებს სამსახურიდან გათავისუფლებულ მოხელეებს, რადგან სასამართლოს მიერ მათ სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება იმთავითვე აღუსრულებლობისთვისაა განწირული.

ამასთანავე, ცვლილებებმა დაასუსტა მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მოადგილე) დაცვის გარანტიები, რამდენადაც ისინი არა საჯარო მოხელეები, არამედ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები არიან, რომელთა უფლებამოსილების ვადა ხელმძღვანელის უფლებამოსილებასთან ერთად წყდება. ეს არაპროპორციულად ზრდის საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის გავლენას და აჩენს დაუსაბუთებელი, პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

გარდა ამისა, ამ ცვლილებებს „მსუსხავი ეფექტი“ აქვს სხვა საჯარო მოხელეებისთვის. არასტაბილური და პოლიტიკურ დღის წესრიგს მიბმული სამუშაო გარემო, ფაქტობრივად, საჯარო მოხელეს უარს ათქმევინებს პროფესიული ზრდის შესაძლებლობაზე, ისევე, როგორც საჩვენებელი/სამაგალითო დასჯა — სამსახურიდან გათავისუფლება — განაპირობებს პროფესიული საჯარო მოხელის თავშეკავებას, საჯაროდ გამოხატოს თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია.